პროექტი ითვალისწინებს შენობა- ნაგებობის რეკონსტრუქციას არსებულ გაბარიტებში და პროექტირების პროცესშიც დაცულია მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობებისას (ბრძანება № 6671377) დადგენილი მოთხოვნები. რაკი შენობა არსებული მდგომარეობით ისედაც სცდება საკადასტრო საზღვრებს ამიტომ ნაკვეთისათვის ინდივიდუალური პარამეტრის მინიჭების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის კუთხით წარიმართა პროცესი(წერილის ნომერი: დ16. 012314210). დოკუმენტაციაში კი წერია შემდეგი - **„დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უკვე განთავსებულია შენობა-ნაგებობა, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს მოუწესრიგებელი იერსახის მქონე შენობა-ნაგებობას, ამასთან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გეგმარებით კარკასზე, უშუალოდ გზისპირას, სადაც განაშენიანების რეგულირების წესებით გათვალისწინებულია განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრების რეგულირება. შესაბამისად, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია, განხორციელდეს არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრქუცია მისი იერსახის მოწესრიგების მიზნით, მხოლოდ არსებულ გაბარიტებში, შეუსაბამობის არსებული ხარისხი გაზრდის გარეშე.**

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.047) განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა მასზე არსებული შენობის არსებულ

გაბარიტებში კომერციული დანიშნულებით რეკონსტრუქციის და ფაქტობრივი მდგომარეობით გადაჭარბებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების კ-1=0.7 დადასტურების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა.“

ასევე ბრძანებაში ვკითხულობთ - „**1. სამშენებლო განვითარების მიზანი: · მშენებლობის სახეობა: არსებული შენობის არსებულ გაბარიტებში კომერციული დანიშნულებით რეკონსტრუქცია. · საპროექტო ობიექტი: სავაჭრო ცენტრი · ფუნქცია/დანიშნულება: კომერციული“...**

რადგან პროექტირების დაწყებისას უარი გვეთქვა შენობის დემონტაჟზე და ახალ მშენებლობაზე, რეკონსტრუქციის პროცესში მაქსიმალურად შენარჩუნდა არსებული გაბარიტები - მხოლოდ და მხოლოდ შეიწია წინა ფასადმა ქუჩის მხარეს, კონსტრუქციულ ნაწილში კი წარმოდგენილია საექსპერტო შეფასებები, ასევე დამატებით მოთხოვნილი დასკვნა რომ დადგეგმილი სამუშაოები არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობას არ გააუარესებს. თუკი მოთხოვნაა რომ რეკონსტრუქცია განხორციელდეს არსებულ გაბარიტებში მისი მდგრადობის გაუარესების გარეშე და ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული შენობა სცდება საკადასტრო საზღვრებს, გაუგებარია რატომ არ არის დასაშვები რეკოსნტრუქცია წარმოდგენილი არქიტექტურული დოკუმენტაციის ფარგლებში.

არსებული შენობა-ნაგებობა, რომელიც ამჟამინდელი მდგომარეობით წარმოადგენს მოუწესრიგებელი იერსახის მქონე შენობა-ნაგებობას, წარმოდგენილი პროექტით კი ითვალისწინებს ტერიტორიის ეფექტურ გამოყენებას და შესაბამისად არსებულ განაშენიანებაში გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკური იერსახის გაუმჯობესებას.

*თან ვურთავთ მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს, შესაბამის დოკუმენტაციას და დანართებს.

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 6671377

გაცემის თარიღი: 20/09/2023 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1968266
შემოსვლის თარიღი: 01/08/2023
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.11.12.015.047
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N 29
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 236.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ნიუ კაპიტალი" (404940070)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა**
- **III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)**
- **სავაჭრო ობიექტები**
  - სავაჭრო ცენტრი

დამკვეთი - განმცხადებელი:

- შოთა ასპანიძე პ/ნ 35001120922
- მისამართი: ასპინძა ს. ნიჯგორი ვარძიის I ჩიხი N 2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქს: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ბრძანება

1. დაკმაყოფილდეს 24/05/2023 წლის AR1968266 განცხადება და დამტკიცდეს თანდართული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;

2. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან **3 (სამი) წლის** განმავლობაში.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები

I. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:

1. საკადასტრო კოდ(ებ)ი: **01.11.12.015.047**
2. ფართობი: **236.00 კვ.მ**
3. მიზნობრივი დანიშნულება: **არასასოფლო-სამეურნეო**
4. ზონები, რომლებიც ვრცელდება ნაკვეთზე:
   - ფუნქციური ზონა (ზონები): **საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2);**
   - ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: **გეგმარებითი კარკასი**

II. ძირითადი მოთხოვნები მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების მიმართ:

1. **სამშენებლო განვითარების მიზანი:**

- მშენებლობის სახეობა: **არსებული შენობის არსებულ გაბარიტებში კომერციული დანიშნულებით რეკონსტრუქცია.**
  - საპროექტო ობიექტი: **სავაჭრო ცენტრი**
  - ფუნქცია/დანიშნულება: **კომერციული**

2. **განაშენიანების რეგულირების პარამეტრები:**

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით დადგენილი კონკრეტული ფუნქციური ზონ(ებ)ის პარამეტრები:

- სსზ-2 – განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი

დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს – 90%-ისა. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკმაყოფილებისთვის არსებული საპროექტო ობიექტებისთვის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესით განსაზღვრული ობიექტებისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია 100% საცხოვრებელი ფუნქციის განთავსება.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		**0,5 * / 0,7**	**კოეფიციენტი**
კ-2		**4,6**	**კოეფიციენტი**
კ-3		**0,2 / 0,3***	**კოეფიციენტი**
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		**–**	**ერთეული/ჰა**
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	**მინიმალური ფართობი**	**700**	**კვ.მ**
	მინიმალური სიგანე	**20**	**მეტრი**
	მინიმალური სიღრმე	**30**	**მეტრი**
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		**-**	**მეტრი**
შენიშვნა		* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებლის ფუნქცია აღემატება 25 %-ს.	

რზ-1 — დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკებისა. ასევე, დასაშვებია ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		**0,2**	**კოეფიციენტი**
კ-2		**–**	**კოეფიციენტი**
კ-3		**0,8**	**კოეფიციენტი**
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		**–**	**ერთეული/ჰა**
	მინიმალური ფართობი	**-**	**კვ.მ**

მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური სიგანე	-	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		5	მეტრი

შენიშვნა: *კოეფიციენტების ანგარიშის წესი იხილეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებში.*

3. **მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა:**

- საზოგადოებრივი საზღვრები: **ჩრდილო-დასავლეთით არსებული სატრანსპორტო ზონის მხრიდან**
- უკანა ეზო: **დანართის შესაბამისად**
- მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: **განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრისა და უკანა ეზოს მხრიდან**

შენიშვნა: *მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის და მათი ნაწილების საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის კონკრეტული წესები იხილეთ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს V თავი.*

III. გაფრთხილება:

1. არქიტექტურული პროექტი უნდა მომზადდეს წინამდებარე პირობების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. დაცულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 22/05/2023 წლის N დ16.012314210 დასკვნის პირობები და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 22/05/2023 წლის Nბ01. 012314220 ბრძანება.
3. დაფიქსირდეს ფაქტობრივი მდგომარეობით გადაჭარბებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების კ-1=0.7.
4. დაცულ იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 14/09/2023 წლის MIA 7 23 02687680.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მე ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბრძანება:**ბ01. 012314220**

თარიღი:**22/05/2023**

ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N29-ში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.047) ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01231393239-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N29-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.047) არსებული შენობის არსებულ გაბარიტებში კომერციული დანიშნულებით რეკონსტრუქციისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის განისაზღვროს არსებული მდგომარეობის შესაბამისად: კ-1=0.7

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01231393239-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.012314210**
თარიღი: **22/05/2023**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01231393239-67
განცხადების თარიღი:	19/05/2023
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.11.12.015.047
მისამართი :	ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N 29
მესაკუთრეები :	შპს "ნიუ კაპიტალი",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	შოთა ასპანიძე
პირადი ნომერი :	35001120922
მისამართი :	საქართველო, ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნიჯგორი, ვარძიის I ჩიხი, N 2
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	შოთა ასპანიძე
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	კომერციული დანიშნულებით
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	520.0
მოთხოვნის შინაარსი :	
	ჩვენი მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს ფუნქციური ზონისთვის (სსზ-2) დადგენილ

მოთხოვნის ტექსტი :	ნორმებს, მაგრამ შენობა დგას და ფუნქციონირებს რამოდენიმე ათეული წელია.გთხოვთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თ დაგვიდგინოთ ინდივიდუალური პარამეტრები შენობის რეკონსტრუქციის მიზნით
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	შენობა მდებარეობს ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N 29 რამოდენიმე ათეული წელია მუშაობდა სხვადასხვა ფუნქციით, ეხლა ახალი მესაკუთრე ყავს და ფიქრობს სამი ფუნქციით დატვირთვას ესაა აფთიაქი, საწყობი და ოფისი.არ ვზრდით შენობის გაბარიტებს. პირიქით შენობის ფასადი რომერლიც გადასულია ქუჩის მხარეს შემცირდება და დაემთხვევა საკადასტრო წითელ ხაზს. რაჩ შეეხება შიდა ფილებს, ექსპერტიზის მიხედვით მოხდება მისი გაძლიერება. შენობის ვიზუალი კი შეიქმნის გაკეთილშობილებულ ფასადს და წაადგება ქალაქის იერსახეს.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	კომერციული ობიექტი
	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.047 (ფართობი: 236 კვ.მ.) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2-ში (სსზ–2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ- საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გგ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქამინი ზონა 2 (სსზ-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5* / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 =0.2/0.3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25%-ს; გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკის თანახმად, ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N2-ის N68-ე მუხლის თანახმად კი თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში. სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში ან მის გარეთ არსებულ/ დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა. სარეკრაციო ზონა 1-ში (რზ-1) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკებისა, ასევე დასაშვებია

გადაწყვეტილების დასაბუთება :	ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა. სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ის ქალაქგეგმარებითი პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1= 0,2 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=-- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: კ–3=0.8 შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 5 მეტრი; ტერიტორიაზე ვრცელდება ტერიტორიულ–სტრუქტურული ზონები: გეგმარებითი კარკასი (გკ) – დედაქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფეხმავალი მაგისტრალებისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით; დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა-ნაგებობა, რომელიც წარმოდგენილ განმარტებით ბარათში არსებული ინფორმაციით საჭიროებს გამაგრებას, რეკონსტრუქციას და სარემონტო სამუშაოების ჩატარებას არსებული გაბარიტების ფარგლებში, ერთიანი იერსახის მოწესრიგების მიზნით და შენობის ექსპლუატაციას კომერციული ფუნქციით (აფთიაქი, საწყობი, ოფისი). საპროექტო მიწის ნაკვეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქუჩის გასწვრივ) გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1, აღნიშნულ ზოლში განთავსებული შენობა-ნაგებობები კი ფუნქციონირებს, სავაჭრო, კომერციული დანიშნულების, საოფისე და კვების ობიექტების ფუნქციით, რაც სარეკრეციო ზონა 1-თვის წარმოადგენს შეუსაბამო ტერიტორიის გამოყენების სახეობას. ამასთან, წარმოდგენილი კროკების მიხედვით, არსებული შენობა-ნაგებობის განაშენიანების კოეფიციენტი კ1 - შეადგენს 0.7-ს,რაც ასევე აღემატება სარეკრეციო ზონა 1(რზ-1)-ში დადგენილ მინიმალურ კ1=0.2-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან არსებული შენობა-ნაგებობის გამოყენების სახეობა და ამასთან, არსებული შენობა-ნაგებობით ათვისებული კ1 კოეფიციენტი არ შეესაბამება, ფუნქციური ზონის რეგლამენტს, სააგენტო მსჯელობს საპროექტო მიწის ნაკვეთისათვის ინდივიდუალური პარამეტრის მინიჭების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის კუთხით. საკვლევი არეალის ფარგლებში ფიქსირდება შერეული ინტენსივობის და შერეული ფუნქციის განაშენიანება. ნაკვეთს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება მისასვლელი სამანქანო გზა. საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ყვება ხაზოვანი ნაგებობის წყალმომარაგების ძირითადი ქსელის შეზღუდვის არეალში, ასევე ტერიტორიას კვეთს საშუალო წნევის თბილისი ენერჯის გაზმომარაგების ქსელი, აღნიშნულის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის პირველივე სტადიაზე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს აღნიშნული ხაზოვანი ნაგებობების მესაკუთრეების პოზიცია. საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, რომელმაც თავის მხრივ N01231282321 (08.05.23.) წერილით დააფიქსირა დადებითი პოზიცია: - სამსახური თანახმაა, განხორციელდეს აღნიშნული შენობის რეკონსტრუქცია (გაბარიტების ზრდის გარეშე). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთები და შენობები-ნაგებობები, რომლებიც არ შეესაბამებიან განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს წინა მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, წარმოადგენენ განპირობებულ (იძულებით) შეუსაბამო უძრავ ობიექტებს. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, რომელიც გაიცემა ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

	იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა დაუშვებელია (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში), გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო ობიექტებისათვის ამ წესის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენისას, ფაქტობრივად ათვისებული პარამეტრების დაფიქსირების მიზნით.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განპირობებული (იძულებით) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისთვის, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პირობით, ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს, და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უკვე განთავსებულია შენობა-ნაგებობა, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს მოუწესრიგებელი იერსახის მქონე შენობა-ნაგებობას, ამასთან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გეგმარებით კარკასზე, უშუალოდ გზისპირას, სადაც განაშენიანების რეგულირების წესებით გათვალისწინებულია განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრების რეგულირება. შესაბამისად, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია, განხორციელდეს არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრქუცია მისი იერსახის მოწესრიგების მიზნით, მხოლოდ არსებულ გაბარიტებში, შეუსაბამობის არსებული ხარისხი გაზრდის გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.047) განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა მასზე არსებული შენობის არსებულ გაბარიტებში კომერციული დანიშნულებით რეკონსტრუქციის და ფაქტობრივი მდგომარეობით გადაჭარბებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების კ-1=0.7 დადასტურების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა.



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი